ოქმი №1

დმანისის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

2018 წლის 4 მაისი 15:00 საათი

ქ. დმანისი წმ. ნინოს ქუჩა №41

საკრებულოს აპარატი

სხდომის თავმჯდომარე: სოფიო ასლამაზაშვილი

სხდომის მდივანი: თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

მურაზ აბრამიშვილი

ქეთევან მარტიაშვილი

მზია ნინიაშვილი

გუსეინ ისმაილოვი

აფთანდილ მუსაევი

დმანისის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, სოფიო ასლამაზაშვილმა სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.

დღის წესრიგი:

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2018 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის განხილვა.

მოისმინეს: თინათინ ციხელაშვილმა საბჭოს წარუდგინა 2018 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2018 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხაზი გაუსვა ამ შეხვედრის მნიშვნელობას, სადაც უნდა დამტკიცდეს არამარტო საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმა, არამედ საბჭო შეთანხმდება მისი შესრულების კონკრეტულ კოორდინაციაზე და თითოეული აქტივობის შესრულების პასუხისმგებლობაზე.

სამოქმედო გეგმის განხილვისას საბჭოს წევრებმა წამოაყენეს რამდენიმე წინადადება.

აზრი გამოთქვა: ქეთევან მარტიაშვილი გამოვიდა წინადადებით, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან ბევრად აქტუალურია გენდერული თანასწორობის კუთხით პრობლემები, ამიტომ საჭიროა მეტად გამახვილდეს ყურადღება, ასევე ცნობიერების დონის ამაღლება ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით.

კრიზისული ცენტრის არსებობის საჭიროების შესახებ.

აზრი გამოთქვა: მზია ნინიაშვილმა ისაუბრა მშობლების (დედის) როლის გააქტურებაზე საკუთარი შვილის (გოგონას) უფლებებთან დაკავშირებით, საჭიროა ადრეული ასაკიდან იცოდეს მოზარდმა ამის შესახებ, ვინაიდან ძირითადად ქალები ექცევიან სისტემატური დისკრიმინაციის ქვეშ სოციალური ცხოვრების როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ სფეროებში. ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო

დოკუმენტი, რომელიც იცავს ქალს დისკრიმინაციისგან არის CEDAW – კონვენცია „ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

აზრი გამოთქვა: გუსეინ ისმაილოვი გამოვიდა წინადადებით, რათა გეგმით გათვალისწინებული შეხვედრების ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა შესაბამის ადმინსტრაციულ ერთეულში.

აზრი გამოთქვა: სოფიო ასლამაზაშვილი გამოვიდა წინადადებით, რომ საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმაში აისახოს გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობა. საბჭომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ შემოთავაზებას.

გადაწყვიტეს: კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა 2018 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2018 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საბჭომ ასევე განიხილა და შეთანხმდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გასვლითი შეხვედრების აქტიური კოორდინაციის საკითხზე და დაწესდა, რომ თითოეულ გასვლით შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოს არანაკლებ სამი წევრი.

სხდომის თავმჯდომარე: სოფიო ასლამაზაშვილი

სხდომის მდივანი: თინათინ ციხელაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტი

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2018 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

სარჩევი

- დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები
- გენდერული ბალანსი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში
- ტერმინთა განმარტება
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მისია
- გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები
- გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მექანიზმები
- პრობლემები, ანუ რატომ გახდა საჭირო სამოქმედო გეგმა
- მიზანი
- ძირითადი პრინციპები
- ამოცანები
- მონიტორინგი და განხორციელების გზები
- სამოქმედო გეგმა

- **დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება**

დმანისი მდებარეობს დმანისის ვულკანურ პლატოზე, მდინარე მაშავერის ორივე ნაპირზე. დმანისის ტერიტორიაზე VI-VIII საუკუნეებში მცირე დასახლება იყო, სადაც საეპისკოპოსო კათედრალი მდებარეობდა. როგორც ქალაქი, წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენიება, 1921-1947 წლებში მას ბაშკიჩეთი ეწოდებოდა. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1981 წელს. მოსახლეობა 3,4 ათასი (2002 წ.).

თანამედროვე დმანისის ახლოს არის ამავე სახელწოდების ქალაქი-სიმაგრის ნანგრევები (VI-XV სს.), სახლების, ქუჩების, ღვინის სარდაფების და სხვა ობიექტების ნაშთები. დმანისის არქეოლოგიური შესწავლა 1936 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. აქ აღმოჩენილია ევროპაში ყველაზე ძველი ადამიანის ნაკვალევი — თავის ქალა, რომლის ასაკი 1,6 მილიონი წლით განისაზღვრება. დმანისში არის ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

დმანისის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 119 880 კვ.კმ.

2014 წლის მონაცემებით მოსახლეობა 19 141 კაცს შეადგენს, მუნიციპალიტეტში 58 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 57 სოფელი. მოსახლეობის 65,46%- ეთნიკური აზერბაიჯანელია, 33,15%- ქართველი, ხოლო 1,25 % -შერეული უმცირესობები (სომეხი, ბერძენი, რუსი).

ქალაქ დმანისის მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით 2661 ადამიანს შეადგენს, აქედან 80 % ქართველი, 15% აზერბაიჯანელი, 5 % ბერძენი.

დმანისი მრავალეთნიკური საზოგადოებით ხასიათდება , მუნიციპალიტეტში არსებული სოფლებიდან - 40 ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობაა, შერეული 5 სოფელი, 13 ქართული სოფელი.

დმანისის მუნიციპალიტეტში მომუშავე მერის 16 წარმომადგენელიდან 7 აზერბაიჯანელია, 9 ქართველი.

- **გენდერული ბალანსი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში**

ამ მხრივ საინტერესოა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწე ქალთა რაოდენობა. 2014 წლიდან დმანისის მუნიციპალიტეტის **მერიის** სამსახურებსა და ა(ა)იპ-ებში ქალები წამყვან პოზიციებზე ასე გადანაწილდნენ: განყოფილების უფროსი ერთი, სამსახურის უფროსი ორი და ა(ა)იპ უფროსი შვიდი.

საკრებულო : ორი საკრებულოს წევრი ქალი, მათგან ერთი კომისიის თავმჯდომარეა, მეორე კი საკრებულოს წევრი, აპარატის უფროსი ერთი.

ადგლობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს ქალის როლის გაძლიერებას საზოგადოებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლიდან არსებობს მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის შტატი. რომელიც თავისი ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისად მუშაობს ქალის გააქტიურებაზე.

2. ტერმინთა განმარტება

გენდერი

გენდერი არის ცნება, რომელიც აღნიშნავს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალთა და მამაკაცთა ქცევისადმი დამოკიდებულების, პიროვნული თვისებების, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ.

გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. იგი გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სქესის ნიშნით დისკრიმინაცია

სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც პირის მიმართ მოპყრობა განსხვავდება მხოლოდ სქესისა და მამაკაცთა და ქალთა მახასიათებლების საფუძველზე, რასაც არ შეიძლება ობიექტური გამართლება ჰქონდეს.

არაპირდაპირი დისკრიმინაციისას კანონი, პოლიტიკა თუ პროგრამა პირდაპირ არ მიუთითებს რაიმე დისკრიმინაციაზე, მაგრამ მისი განხორციელება დისკრიმინაციულ შედეგს იძლევა.

სპეციალური ღონისძიებები

სპეციალური ღონისძიებები წარმოადგენს მიზნობრივად შემუშავებულ ქმედებებს, რომელთა მიზანია არახელსაყრელი პირობებისა და გენდერული სტერეოტიპების დაძლევა. სპეციალური ღონისძიებები ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობის თანაბრად გაუმჯობესების მიზნით სამართლებრივი რეფორმის გატარებას, საგანმანათლებლო პროგრამების და სხვა კონკრეტული სტრატეგიებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება (გენდერული მეინსტრიმინგი)

გენდერული მეინსტრიმინგი არის ყველა სფეროში და დონეზე პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება.

3. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მისია

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მისიაა, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას და თემის პოპულარიზაციას როგორც გარე, ისე შიდა აუდიტორიაში. უზრუნველყოს სხვადასხვა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის ძალისხმევის გაერთიანება ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის წარმოებისას.

საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი:

ა) საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

ბ) სამთავრობო უწყებების მიერ დაგეგმილი გენდერული თანასწორობის საკითხებზე შიდა ინსტიტუციური პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, დმანისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის შემუშავება შესრულების უზრუნველყოფა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი გენდერულ საკითხებთან მიმართებაში, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, საკითხის ადგილობრივად შესწავლა, წინადადების შემუშავება და საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოსთვის წარდგენა;

ე) გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;

ვ) ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების მიზნით გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, ანალიზი, ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების ხელშემშლელი ბარიერების გამოვლენა;

ზ) ფემიციდის, ოჯახში ძალადობის, ქალთა მკვლელობების, ქორწინების იძულების, ან/და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება და ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;

თ) დმანისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურესთან ერთად, ადრეულ ასაკში ქორწინებასთან და აბორტთან დაკავშირებით, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ი) დმანისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით, საჭიროების შემთხვევაში წინადადებისა და რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა;

კ) გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა;

ლ) გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის და დოკუმენტაციის გამოთხოვა და მიღება, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული ან/და მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება და შეფასება გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

ნ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

ო) საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წელიწადში ერთხელ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენა;

პ) წინადადებისა და რეკომენდაციების მომზადება და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ან/და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის წარდგენა.

4. **მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები (მოვალეობები):**

ა) მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება; შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება;

ბ) ამავე საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

გ)მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება; დოკუმენტების დახვეწის მიზნით პროცესების მართვა და შემდგომში დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია. შესრულებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა მერისათვის და საკრებულოსათვის;

დ)მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა;

ე) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებისა და საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება (დღის წესრიგი, განსახილველი საკითხები, რეკომენდაციების პროექტები და ა.შ.) გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე განხილული წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი პირებისთვის;

ვ) მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით;

ზ)მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იმ პოლიტიკის დოკუმენტების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამების და გეგმების სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალიზი, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია;

თ) დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და ასევე ამავე მუნიციპალიტეტში სხვა ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საერთო ანგარიშის მომზადება, სადაც იდენტიფიცირებული იქნება ღონისძიებები და შემსრულებელი პირები;

ი) მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება;

კ) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობაში ჩართულობა, მუნიციპალიტეტის ორგანოებში საჯარო სამსახურში მიღების და დაწინაურების პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა, ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის მიღწევის მიზნით, სამსახურებრივი დაწინაურების პროცესში ქალთა ხელშეწყობა;

ლ) თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საბჭოსთან, სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათთვის შესაბამისი ინფორმაციების და ანგარიშების მიწოდება.

5. გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებების განხორციელების მექანიზმები

გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებების განხორციელებისათვის საქართველოს ხელისუფლება იყენებს შესაბამის მექანიზმებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საქართველოში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ.

საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს, რომ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, გატარება და მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

დღესდღეობით საქართველოში არსებობს ორი დროებითი სტრუქტურა – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საკონსულტაციო საბჭო და სამთავრობო კომისია, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მაგრამ გენდერული თანასწორობის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, საქართველოს ხელისუფლებაში შეიქმნას მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნ-ველყოფა მოხდეს ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ შტოებში, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე.

5. პოლიტიკური სფერო

საქართველოს მოქალაქეებმა გამოხატეს თავიანთი ნება, საქართველო ჩამოყალიბებულიყო დემოკრატიულ სახელმწიფოდ, როდესაც მხარი დაუჭირეს „ვარდების რევოლუციას". გენდერული თანასწორობის პრინციპების განხორციელება დემოკრატიული პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ყოველ მოქალაქეს – ქალს თუ მამაკაცს – თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება კანონის უზენაესობასა და კანონის წინაშე თითოეული მოქალაქის თანასწორობაზე დაფუძნებული, გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში.

ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა:

- ხელისუფლების ყველა შტოში და ყველა დონეზე ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონაწილეობის წახალისება;
- პოლიტიკურ პარტიებსა და მათ აღმასრულებელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა.

6. ეკონომიკური სფერო

ეკონომიკური განვითარება საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს ხელისუფლების მიზანია, შექმნას საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას.

გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამებში, აგრეთვე დასაქმების პოლიტიკაში სტიმულს მისცემს გენდერული ბალანსის უზრუნველყოფას შრომის ბაზარზე და განსაკუთრებით სამეწარმეო საქმიანობაში. კერძო სექტორის განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთი მექანიზმია ქალებისა და მამაკაცებისათვის საფინანსო, საკრედიტო და საწარმოო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს გენდერული, სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებული ბიუჯეტის განვითარებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეებზე.

7. სოციალური სფერო

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ახორციელებს რეფორმებს სოციალურ სფეროში. სოციალური პოლიტიკის გატარებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პროგრამები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს და სოციალურ პოლიტიკაში გაითვალისწინოს ოჯახში ბავშვებზე, ხანდაზმულებსა და სხვა წევრებზე ზრუნვისას გაწეული შრომა.

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის განხორციელებისას ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცებისათვის საბაზისო, პროფესიული, უმაღლესი და უწყვეტი განათლების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

- **პრობლემები, ანუ რატომ გახდა საჭირო სამოქმედო გეგმა**

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა წახალისებისათვის მუნიციპალიტეტის მხრიდან არაერთი ქმედითი ნაბიჯებია გადადგმული ეს საკმარისი არ არის იმ ძირეული კომპლექსების დასაძლევად რაც არსებულ რეალობაში გვხვდება იქნება ეს ტრადიციებიდან გამომდინარე თუ საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპები.

- პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქალთა განსაკუთრებული საჭიროებების პრობლემები ყველგან ჩანს, მითუმეტეს დმანისის ეთნიკურად მრავალფეროვანი რაიონია;
- მამაკაცთა უმრავლესობა გენდერულ პრობლემებს არ განიხილავს მწვავე საკითხად;
- სოფლებში საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის არსებობის შესახებ ცნობაობა დაბალია ან საერთოდ არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭომ და მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელმა პირმა, დასახეს მიზნები და ამოცანები, გაეწერათ

სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას.

სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის საკითხები, რომელთა ამოცანაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა.

- **მიზნები**

✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა/ცნობიერების ამაღლება;
✓ სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომკური ხელშეწყობა;
✓ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობის ხელშეწყობა/უზრუნველყოფა;
✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია;
✓ სხვადასხვა მიზნობრივი პროექტების განხორციელება.

დმანისის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა **გენდერული სამოქმედო გეგმა**, რომელიც გაწერილია მოკლევადიან (1 წლიან) პერიოდზე და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ამოცანა, მიზანი/საქმიანობა, პასუხისმგებელი ორგანიზაცია, შემსრულებელი, ვადა, შედეგი.

- **ძირითადი პრინციპები**

➢ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება ყველა მიმართულებით: სოციალური, კულტურული, ეკონომიკური.

მიზანია **გენდერული მეისტრიმინგის** დანერგვა, რაც გულისხმობს სქესის ნიშნით დაყოფილი მონაცემების შეგროვება-ანალიზს, ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს საქმიანობის ეფექტურობა გენდერული თვალსაზრისით, ასევე გვეცოდინება მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა გენდერული ბალანსი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

➢ გენდერულ საკითხებზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება

რაც ნიშნავს სპეციალური სწავლების კურსის ორგანიზებას , სამიზნე ჯგუფი მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღები პირები, მიზანი გენდერული მგრძნობელობის ამაღლება.

➢ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრებ ქალთა ინფორმირებულობა თუ რას ნიშნავს და როგორ ჩამოაყალიბონ კოოპერატივები, გახდნენ ფერმერები, რა სიკეთეებს მოუტანთ ეს მათ. ამ კუთხით საინტერესოა ქალები შეხვდნენ უკვე შემდგარ ფერმერერ ქალებს და გაეცნონ თუ რა გზა გაიარეს , რისი გაკეთება შეძლეს და როგორ მიაღწიეს ფინანსურ დამოუკიდებლობას.

➢ ოჯახში ძალადობის პრევენცია, ძალადობის მსხვერპლთა დახმარების უზრუნველყოფა

მიზანია განვახორციელოთ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები კერძოდ, მოვახდინოთ ქალთა ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ, ძალადობის მიზეზების შესწავლა და სტატისტიკის წარმოება.

- **ამოცანები**

❖ დმანისის მუნიციპალიტეტის თექვსმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში ლიდერი ქალების არჩევა.

❖ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელების, ასევე სხვა თანამშრომლებისათვის ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ, საგანმანათლებლო/საინფორმაციო ღონისძიებების დაგეგმვა ქალთა უფლებების შესახებ.

❖ საზოგადოებისათვის ინფორმაციის რეგულარული მიწოდება თუ რა აქტივობებს ახორციელებს და გეგმავს დმანისის მუნიციპალიტეტი გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით.

❖ გენდერული სტატისტიკის წარმოება.

- **მონიტორინგი და განხორციელების გზები**

○ კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიისა და გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა სამოქმედო გეგმით განსახორციელებელ აქტივობებს უზრუნველყოფს დმანისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

○ გენდერზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წინაშე წარადგინოს ანგარიში სტრატეგიისა და გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა სასმოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

○ დმანისის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს გენდერული საბჭო აფასებს შესრულებული სამუშაოების დადებით და უარყოფით მხარეებს / გასცემს რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმა

ამოცანა	მიზანი/საქმიანობა	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	შემსრულებელი	ვადა	მოსალოდნელი შედეგი
მიზანი 1: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა / ცნობიერების ამაღლება					
დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულად დაბალანსებული შემადგენლობის ხელშეწყობა;	საჯარო სამსახურის რეფორმის დროს გენდერული პარამეტრების გათვალისწინება; გენდერული სტატისტიკის წარმოება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	სტატისტიკის წარმოება
გენდერულ საკითხებზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება	სპეციალური სწავლების კურსის ორგანიზებას , სამიზნე ჯგუფი მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღები პირები,	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	
ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პრინციპებზე	გენდერული სახელმძღვანელოს გამოყენებით შეხვედრების ჩატარება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო.	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	16 წარმომადგენლისა და მისი სპეციალისტების ცნობიერების დონის ამაღლება
მიზანი 2: სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა					
გენდერული ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და მომზადება (სამომავლოდ)რათა იქნას გათვალისწინებული	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, სოციალური პროგრამების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	დმანისის მუნიციპალიტეტის მერი; საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური,საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2018-2019	თანაბარი ხელმისაწვდომობა
ქალთა ინფორმირება მათი ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა (შემდგარი ფერმერი ქალები შეხვდნენ მოწყვლად ჯგუფს და გაუზიარონ	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო,	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე	2018	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები

	საკუტარი გამოცდილება) ინფორმირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უპირატესობებზე და მათი შექმნის ხელშეწყობა		პასუხისმგებელი პირი		
ქალთა ინიციატივები	ქალების ინიციატივებისათვის მცირე გრანტების გაცემა, (სამომავლოდ,) ეს იქნება სოფლად ბიბლიოთეკის მოწყობა თუ სხვა საჭიროება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	ქალთა ბაზა, დაფინანსებული და განხორციელებული ინიციატივები
ლიდერ ქალთა გამოვლენა	სოფლებში ვიზიტი და შეხვედრა ადგილობრივ ქალებთან, ლიდერი ქალები იქნებიან ინფორმაციის გამავრცელებელნი თუ რა ხდება დმანისის მუნიციპალიტეტში	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	ლიდერი ქალები
მიზანი 3: გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობის ხელშეწყობა/უზრუნველყოფა					
ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გამჭვირვალეობის და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან და ანგარიშის წარდგენა თუ რას საქმიანობს ადგილობრივი თვითმმართველობა, რა პროექტები განხორციელდა ან განხორციელდება, რა უფლებები აქვთ და რისი მოთხოვნა შეუძლიათ თვითმმართველობისთვის. აღნიშნულ შეხვედრებზე დამსწრეთა გენდერული ბალანსის დაცვა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	გამართული შეხვედრები
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის გენდერულ საკითხებზე ცნობიერების დონის ამაღლება	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან და მამაკაცებთან დისკუსიის გამართვა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, მერის წარმოამდგენლები	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	გამართული შეხვედრები; საინფორმაციო News
მიზანი 4: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია					

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018 წლის სამოქმედო გეგმა	1.1.1. შერჩეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში (სადაც განსაკუთრებით ხშირია ადრეული ქორწინების პრაქტიკა) თემების მობილიზება ადრეული ქორწინების პრევენციისათვის, მათ შორის თემისა და რელიგიური ლიდერების ჩართვა.		მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	გამართული შეხვედრები
ოჯახში ძალადობის პრევენცია, ძალადობის მსხვერპლთა დახმარების უზრუნველყოფა	მოვახდინოთ ქალთა ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ, ძალადობის მიზეზების შესწავლა და სტატისტიკის წარმოება, საჭიროების შემთხვევაში გენდერული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება (სამომავლოდ)	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	ძალადობის მსხვერპლ ქალთა დახმარება
მიზანი 5: სხვადასხვა მიზნობრივი პროექტების განხორციელება					
ქალთა საერთაშორისო დღე	ღონისძიება ქალებისათვის	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	ჩატარებული ღონისძიება
სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე	სოფლად მცხოვრები ფერმერი ქალებისათვის ღონისძიების გამართვა	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალიტეტის აქტიურ ქალთა ჯგუფი, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე	2018	ჩატარებული ღონისძიება

			პასუხისმგებელი პირი		
ტრენინგები სხვადასხვა თემებზე (სამომავლოდ)	კვლევებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი თემების შესაბამისი ტრენინგების ჩატარება მიზნობრივ ჯგუფში	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო	მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	ჩატარებული ღონისძიება
მედია მხარდაჭერა	გენდერული ღონისძიებების გაშუქება საინფორმაციო სიუჟეტები და ნიუსები გენდერულ თემებზე		მერიის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი	2018	მომზადებული სიუჟეტები